

ლაიკერტის სკალა*

სკალის შედგენის საფეხურები

ამ ტიპის სკალის შედგენისას მნიშვნელოვანია ის, რომ ზუსტად იქნეს მითითებული ატიტუდის (Attitude)** ობიექტი. ასეთი ობიექტები შეიძლება იყოს სხვადასხვა, შერჩეული იმის მიხედვით, თუ რა ამოცანა გვაქვს დასახული, რომელი ობიექტის მიმართ გვსურს შევიმუშაოთ ინსტრუმენტი. ატიტუდის ობიექტები შეიძლება იყოს - სამშობლო, პოლიტიკური პარტია, ეთნიკური წარმონაქმნი ან სხვა აბსტრაქტული ღირებულებები.

იმის შემდეგ, როდესაც შერჩეული იქნება ატიტუდის ობიექტი, ჩვენ ვიწყებთ ამ ობიექტის მიმართ გამოთქმული დებულებების, გამონათქვამების და მსჯელობების შეგროვებას. დებულებები შეიძლება შევარჩიოთ ობიექტის შესახებ არსებული ლიტერატურიდან, სხვადასხვა პიროვნებების გამონათქვამებიდან, უკვე შემუშავებული კითხვარებიდან ან შევიმუშაოდ ჩვენ თვითონ. ასეთი სახის დებულებები იმ რაოდენობის უნდა იყოს, რომ ობიექტის მიმართ დამოკიდებულებას სრულად და ყოველმხრივ ასახავდეს. რაოდენობა შეიძლება ვარიირებდეს 130-დან 350-მდე.

დებულებების შინაარსი ობიექტის მიმართ სხვადასხვა იმიტომ არის, რომ შეესატყვისებოდეს განსხვავებულ პიროვნებებს, ამა თუ იმ კულტურაში არსებულ მენტალიტეტს. ერთი და იმავე სკალაში დასაშვებია ასევე, დადებითი და უარყოფითი მუხტის მატარებელი დებულებების არსებობა ამა თუ იმ ობიექტის მიმართ. შესაძლებელია იყოს მსგავსი შინაარსის მქონე დებულებები გამოთქმული სხვადასხვა ფორმით.

რ. ლაიკერტი [2] გამოჰყოფს რამდენიმე კრიტერიუმს, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ დებულებების გამოყოფას, მისი შეგროვების დროს.

1. ძალზედ არსებითია ის, რომ ყოველი დებულება უნდა იყოს ქ ც ე ვ ი ს გამოხატველი და არა ფაქტის აღმნიშვნელი, ამა თუ იმ ობიექტის შესახებ. ფაქტის აღნიშვნისას არ ჩანს პიროვნების დამოკიდებულობა, ამა თუ იმ ობიექტის მიმართ. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია ის, რომ დებულებების შერჩევისას ის დახარისხდეს ქცევის და ფაქტის აღმნიშვნელად და ფაქტების აღმნიშვნელი დებულებები ამოღებული უნდა იქნეს. ქცევის აღნიშვნას, რაც შეეხება ის პიროვნებისათვის სასურველობით (ან არასასურველობით) უნდა გამოირჩეოდეს. ის დებულებები, რომლებიც არ შეიცავს სასურველ ქცევას, იყენებს ტერმინს - "უნდა". ასეთი პრესკრიფცია, პიროვნებებს ამა თუ იმ დებულების იძულებით ხასიათზე მიუთითებს.

* აქ და შემდგომში გამოყენებულია, ამ სკალის შემქმნელის ლაიკერტის სახელი. თვით გვარს - Likert - ევროპელი ავტორები კითხულობენ, როგორც ლაიკერტს, ხოლო ამერიკელი ავტორები - ლიკერტს. თანამედროვე ლიტერატურაში ორივე გამოიყენება. ჩვენ ვირჩევთ ევროპულ ვარიანტს.

** ამ ტერმინს ჩვენში იყენებენ სოციალური განწყობის (სოციალური ფიქსირებული განწყობა) სახელწოდებით. ფსიქოლოგიაში, ტერმინი - ატიტუდი პირდაპირაც გამოიყენება. ტექსტში გამოვიყენებთ, როგორც ატიტუდს, ასევე დამოკიდებულებას.

2. დებულებების შერჩევისას, აუცილებელია ის დებულებები გამოვყოთ, რომლებიც მოკლედ, ნათლად, პირდაპირ არის გადმოცემული. დებულებების შერჩევისას უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი პრინციპით: უკიდურეს პოლუსებზე (როგორც დადებით, ასევე უარყოფით) განლაგებული დებულებები არ უნდა მივაწოდოთ რესპოდენტებს, რადგან ნორმალურ პოპულაციაში, ამგვარი ამოცანის მიღება სუსტ განთესვას, განაწილებას გვიჩვენებს და აქ პასუხებზე გარკვეული ზემოქმედება ხორციელდება. ანალოგიურად ხდება ნეიტრალური დებულებების ამოღება, რადგანაც ის მცირე განთესვას გვიჩვენებს. ამიტომაც ჩვენი მიზანია მივიღოთ ისეთი დებულებები, რომლებიც იქნება ზომიერად დადებითი ან უარყოფითი შინაარსის. ე. ი. მსჯელობაში გამოხატული დამოკიდებულება, რეალობასთან უნდა იყოს ახლოს და მიზანი ამ დამოკიდებულების არ უნდა იყოს უკიდურესად პოლარირებული, აგრეთვე არ უნდა დაეტოვოთ ნახევრად დადებითი და ნახევრად უარყოფითი მტკიცებულებები, ანუ ისინი არ უნდა იყოს ამბივალენტური.

დებულებების შერჩევის შემდეგ, აუცილებელია ეს დებულებები მივაწოდოთ რესპოდენტებს (სულ მცირე 50 რესპოდენტი), რომლებიც თერთმეტ საფეხურიან სკალაზე შეაფასებენ ამ დებულებათა შინაარსის დადებითობა-უარყოფითობას. ასეთი სკალა შემდეგი სახისაა (1 - უკიდურესად უარყოფითი შეფასებაა. 11 - უკიდურესად დადებითი, 6 - ნეიტრალური):

ნეიტრალური										
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
ძალზედ უარყოფითი დებულებები					ძალზედ დადებითი დებულებები					

ამ სკალაზე განაწილება დამოკიდებულია რესპოდენტების შეხედულებაზე. შეირჩევა ის დებულებები, რომლებიც არის ზომიერად დადებითი და ზომიერად უარყოფითი, ე. ი. ის დებულებები, რომლებიც ზომიერების ფარგლებში იქნება რესპოდენტების მიერ განთავსებული ამ სკალაზე, მაგ.:

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
ზომიერად უარყოფითი					ზომიერად დადებითი					

მონაცემთა გამოთვლა შესაძლებელია შესრულდეს ტურსტონის მეთოდით (კვარტალური გადახრებით) ან შესაძლებელია სკალა განაწილდეს სამ კატეგორიად - სასურველი, არასასურველი, ნეიტრალური და შემდეგ დავითვალოთ დებულებათა განაწილების საშუალოები. ამ შემთხვევაში სკალა შემდეგ სახეს იღებს:

არასასურველი	ნეიტრალური	სასურველი
--------------	------------	-----------

ამ სახის სკალას იყენებენ იმ შემთხვევაში, როდესაც დებულებების შინაარსი კორექტირებულია და გამართული სახითაა გადმოცემული.

ამ პროცედურით ჩვენ ვადგენთ, ამა თუ იმ დებულებას რა მუხტი გააჩნია – დადებითი თუ უარყოფითი, რაც შემდგომ რესპონდენტებზე მიწოდებული დებულებების აღნიშვნისათვის გამოგვადგება (რადგან, შემდგომ, რესპონდენტთა პასუხების დათვლისას სკალის ხუთი საფეხურის რანგები, მოითხოვს უარყოფითი დებულებების საპირისპირო რიგითობით დათვლას).

ამგვარად, დებულებები უნდა იყოს ერთსახოვანი, რომელშიც გამოჩნდება ატიტუდის ობიექტის მიმართ (დამოკიდებულებებისადმი) აშკარად გამოხატული სასურველობა ან არასასურველობა. ყოველივე ეს უმჯობესია ცალკე შერჩეულ ექსპერტთა ჯგუფზე ჩატარდეს, თუმცა თვით ლაიკერტი უარყოფს ექსპერტთა ჯგუფის გამოყენებას. მიგვაჩნია, რომ ასეთი პროცედურით ჩვენ გავექცევით სტერეოტიპულ პასუხებს.

3. თუ საქმე გვაქვს მრავალგანზომილებიანი სკალის შედგენასთან (ასეთი სკალა შეიცავს ქვესკალებს), გამოყენებული უნდა იქნეს შესატყვისი მრავალი დებულება ქვესკალებთან მიმართებაში, ხოლო ერთგანზომილებიანი სკალის შედგენისას (სკალა შეიცავს ობიექტის მიმართ ცალსახა დამოკიდებულებას), აუცილებელია დებულებები ერთსახოვანი იყოს.

მას შემდეგ, რაც შერჩეული იქნება დებულებები, უნდა გადავიდეთ სკალის შედგენის მეორე ეტაპზე. ამ ეტაპზე ხდება დებულებების შეტანა ანკეტაში, სადაც უკვე მოცემულია ამ დებულებების გასაზომი სკალა შესატყვისი რანგებით. დებულებები წინასწარ ინომრება და ჩვენ ასევე ვიცით თუ რომელი დებულება რა მუხტს ატარებს (დადებითია თუ უარყოფითი). ასეთი სახის ანკეტა მოცემულია ქვევით:

№	დებულება	სრულიად არ	არ	არც	კეთანხმები	სრულიად
		კეთანხმები	კეთანხმები	და არც არ		კეთანხმები
				1		
1						
2						
3						
4						
.						
.						

ამ ანკეტაში შევა უფრო მეტი დებულება, ვიდრე საბოლოო სკალაში იქნება მიღებული გამოთვლებით. თუ დებულებები ბევრია, მაშინ შესაძლოა მათი მოთავსება ბარათებზე (თითო ბარათზე თითო დებულება). შემდგომ ბარათები ინომრება და მათი მიწოდება ხდება ყოველ რესპონდენტზე ცალ-ცალკე. მაგ.: ბარათი № 7 ასახავს უარყოფით დამოკიდებულებას სტუდენტ ახალგაზრდობის მიმართ, ხოლო ბარათი № 9 დადებით დამოკიდებულებას

ბარათი № 7

ბარათი № 9

თუ სტუდენტ ახალგაზრდობას თავისუფლება და ბევრი ფული ექნებათ, საკმაო უსიამოვნებას წააწყდებიან ცხოვრებაში

სტუდენტებს დამოუკიდებელი სამეცნიერო მუშაობით დიდი წვლილი შეაქვთ მეცნიერებაში

რესპოდენტმა ეს დებულებები უნდა შეაფასოს ხუთ საფეხურიან სკალაზე, რომელიც მის წინ იქნება განთავსებული. მიწოდებული მასალიდან გამოთვლების შემდეგ გამოყოფილი ძირითადი დებულებები, იქნება ამა თუ იმ ობიექტის მიმართ დამოკიდებულების საზომი. შესაფასებელი სკალები ძირითადად არის ხუთსაფეხურიანი, რომლითაც ხორციელდება რანგების სიდიდის მინიჭება ცალ-ცალკე ყოველ დებულებაზე თანხმობის (არ დათანხმების) ხარისხის გათვალისწინებით.

ხუთსაფეხურიანი სკალის ნიმუში:

დებულებები	1	2	3	4	5
	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	არც ვეთანხმები და არც არ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები

არსებობს, ასევე შეფასების შეჯამების ლაიკერტისეული მეთოდის სხვა მოდიფიკაციური სკალები, რომლებშიაც შეფასების სკალის რანგები ვარიირებს 4-დან 9-მდე. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში შესაბამისად იცვლება რანგების რიცხობრივი და გრაფიკული აღნიშვნები. ქვემოთ მოგვყავს ამ სკალების მაგალითები:

1. ოთხსაფეხურიანი სკალა

დებულებები	1	2	3	4
	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები

2. ექვსსაფეხურიანი სკალა

დებულებები	1	2	3	4	5	6
	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	მცირედ არ ვეთანხმები	მცირედ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები

ზოგ შემთხვევაში ექვსსაფეხურიანი სკალის რიცხობრივ აღნიშვნებს ცვლიან შემდეგნაირად:

დებულებები	-3	-2	-1	+1	+2	+3
	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები ვიდრე ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები ვიდრე არ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები

3. შვიდსაფეხურიანი სკალა

დებულებები	1	2	3	4	5	6	7
	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	მცირედად არ ვეთანხმები	არც ვეთანხმები და არც არ ვეთანხმები	მცირედად ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები

ხანდახან ამ სკალის რიცხობრივი აღნიშვნის რანგს ცვლიან (სადაც +3 რანგი აღნიშნავს უკიდურეს მკაცრ დათანხმებას, ხოლო -3 უკიდურეს მკაცრ არდათანხმებას). ამ შემთხვევაში სკალა შემდეგ სახეს იღებს:

დებულებები	-3	-2	-1	0	+1	+2	+3
	უკიდურესად მკაცრად არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნეიტრალური (გადაუწვევებელი)	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები	უკიდურესად მკაცრად ვეთანხმები

4. ცხრა საფეხურიანი სკალა (იშვიათ შემთხვევაში სკალას ცხრა საფეხურამდე ზრდიან).

დებულებები	1	2	3	4	5	6	7	8	9
	უკიდურეს ად მკაცრად არ ვეთანხმებ ი	სრულიად არ ვეთანხმებ ი	არ ვეთანხმ ები	უფრო არ ვეთანხმებ ი ვიდრე ვეთანხმებ ი	არც ვეთანხმები და არც არ ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები ვიდრე არ ვეთანხმები	ვეთანხმე ბი	სრული ად ვეთანხმ ები	უკიდურე სად მკაცრად ვეთანხმე ბი

ამ სკალის რიცხობრივ გამოსახულებას ხანდახან ცვლიან დადებით-უარყოფითი მაჩვენებლით:

დებულებები	-4	-3	-2	-1	0	+1	+2	+3	+4
	უკიდურეს ად მკაცრად არ ვეთანხმებ ი	სრულიად არ ვეთანხმებ ი	არ ვეთანხმ ები	უფრო არ ვეთანხმებ ი ვიდრე ვეთანხმებ ი	ნეიტრალუ რი (გადაუწყვე ტელი)	უფრო ვეთანხმები ვიდრე არ ვეთანხმები	ვეთანხმე ბი	სრული ად ვეთანხმ ები	უკიდურე სად მკაცრად ვეთანხმე ბი

3. კლაინი [12], თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ მართალია სანდოობა იმატებს, როცა იზრდება სკალის გრადაციის რაოდენობა, მაგრამ ამ ტიპის სკალის შემთხვევაში ასეთი მატება წყდება შეიღსაფეხურიანი გრადაციის შემდგომ. სკალის გრადაციის კენტი რაოდენობით მიღებული შედეგები განსხვავდება სკალის გრადაციის ლუწი რაოდენობით მიღებული შედეგებისაგან. კენტის ეს უპირატესობა განპირობებულია სკალის ორპოლუსიანობით და ნეიტრალური რანგის გამოყოფით. მიივარდება, რომ ლაიკერტის ტიპის სკალის შემუშავებისას უმჯობესია ხუთსაფეხურიანი სკალური გრადაციის გამოყოფა, როგორც ამას თავად სკალის ავტორი იყენებდა.

შეფასების სკალა, რომელიც ხუთსაფეხურიანია, შეიცავს შემდეგ რანგულ შეფასებებს: სრულიად არ ვეთანხმები (1), არ ვეთანხმები (2), არც ვეთანხმები და არც არ ვეთანხმები (3), ვეთანხმები (4), სრულიად ვეთანხმები (5). რესპოდენტები აფასებენ ყოველ მოცემულ დებულებას 1-დან 5 ქულის ჩათვლით. აქედან 1 ქულა შეესატყვისება, რომ მკაცრად არ ეთანხმება, ხოლო 5 ქულა – სრულიად ეთანხმება. რესპოდენტი, რომელიც ყველა დებულებაზე მხოლოდ ერთი აღნიშვნით უპასუხებს ამ ხუთსაფეხურიან სკალაზე და თუ ჩვენ, ასევე წინასწარ გამოყოფილი გვქონდა

უარყოფითად დამუხტული დებულებები, მაშინ, მათი ქულების დათვლისას, სკალური საფეხურების აღნიშვნის შემობრუნება ხდება, ანუ ეს პროცესი ხორციელდება იმ დებულებებთან მიმართებაში, რომლებიც შინაარსობრივად არასასურველ დამოკიდებულებას გამოხატავს ობიექტის მიმართ. ქულების შეცვლა ხორციელდება შემდეგი სახით:

სკალური შეფასება – წონები	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	არც ვეთანხმები და არც არ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
+	1	2	3	4	5
-	5	4	3	2	1

მოცემულ სკალაზე რანგული მანკვებლებით დებულებების შეფასება, ამ ეტაპზე, საშუალებას გვაძლევს მივიღოთ სკალის საერთო ქულა, ჯამური მონაცემის საშუალებით, რაც ასევე გამოხატავს მოცემული ცდის პირის საერთო ქულას. მაგ.: თუ წინასწარ გვაქვს მიწოდებული 100 დებულება და ის ფასდება ხუთ საფეხურიან სკალაზე, მაშინ გვექნება საერთო ქულების რანჟირება 100-დან 500-მდე, (100X5). რაც უფრო მაღალია საერთო ქულა, მით უფრო სასურველია (დადებითია) ობიექტის მიმართ დამოკიდებულება.

ამ სკალის შედგენისას ცდის პირების რაოდენობა უნდა იყოს ბევრი. ასეთი დიდი და რეპრეზენტირებული შერჩევა ასახავს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელთათვისაც არის შემუშავებული ეს ტესტი. იდეალური იქნებოდა გვყოლოდა ათჯერ მეტი ცდისპირი გამოკითხული, ვიდრე სკალაში შესული დებულებები გვაქვს, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში შერჩევა სამჯერ მეტს უნდა შეადგენდეს (დებულებებთან მიმართებაში).

მნიშვნელოვანია ის, რომ საბოლოოდ მიღებული დამოკიდებულების სკალაზე, ცდისპირმა ყოველ დებულებას აუცილებლად უნდა გასცეს პასუხი. თუ რომელიმე პასუხი გამოტოვებულია, მაშინ ის ანკეტა უნდა გაუქმდეს. ცდისპირებს ეძლევათ ინსტრუქცია, რომელშიც ასახული უნდა იყოს ის, თუ რას ვიკვლევთ, როგორ ხდება შეფასება (მაგალიტის მოყვანით), რა დრო უნდა დახარჯონ და ა. შ.

საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემდეგი მაგალითი [6,7]: თუ ათი პირი აფასებს დებულებებს, ხუთ საფეხურიან სკალაზე, მაშინ ცდის პირის ყოველი ბლანკი შემდეგი სახის იქნება:

№	დებულებები	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	არც ვეთანხმები და არც არ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
		1	2	3	4	5
1						
2						+
3						+
4				+	+	

5			+		
6				+	
7				+	
8		+			
9		+			
10			+		

ამ მაგალითში მოცემული ყოველი დებულება გამოხატავს სასურველობას ატიტუდს ობიექტის მიმართ (ე. ი. დადებითი მუხტი გააჩნიათ). რადგანაც გვაქვს 10 დებულება, ჩვენი მაგალითისათვის შესაძლო მაქსიმალური საერთო ქულა იქნება 50 ($10 \times 5 = 50$), მინიმალური კი - 10 ($1 \times 10 = 10$). თუ ცდისპირისათვის მიღებულია 35 ქულა, ეს იქნება საშუალოზე ცოტა ზემოთ (მაღალი), რითაც შესაძლებლობა მოგვეცემა, ვთქვათ, რომ ამ ცდის პირს აქვს პოზიციური ატიტუდი (დამოკიდებულება) ობიექტის მიმართ.

მონაცემთა დამუშავების დროს ყოველი დებულებისათვის დგება შემდეგი სახის ცხრილი. ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ ცხრილის № 5 დებულების მონაცემებით მიღებულს ათივე ცდისპირისათვის. ცხრილის ვერტიკალურ მხარეს აღვნიშნავთ ცდისპირებს, ხოლო ჰორიზონტალურ მხარეს, სკალის შეფასების მონაცემთა საერთო ქულას. ცხრილის ჰორიზონტალურ მეორე სვეტში მითითებულია № 5 დებულების ქულები ყოველი ცდის პირისათვის, ხოლო ცხრილის ჰორიზონტალურ მესამე სვეტში კი მოთავსებულია საერთო ქულასა და № 5 დებულების ქულებს შორის სხვაობა.

№ 5 დებულების ანალიზი

ცდისპირი	საერთო ქულა	№ 5 დებულების ქულა	საერთო ქულასა და №5 დებულების ქულებს შორის სხვაობა
1	45	5	40
2	42	5	37
3	35	4	31
4	35	4	31
5	20	1	19
6	39	4	35
7	33	3	30
8	40	4	36
9	22	1	21
10	27	2	25

დებულების ანალიზისას (ანალიზი, გამოთვლები სრულდება ყოველი დებულებისათვის ცალ-ცალკე) მნიშვნელოვანია გაირკვეს თუ რომელი მათგანი არის საუკეთესო ჩვენი სკალისათვის. იდეალური სკალა მიიღება მაშინ, როცა ყოველ

დებულებას შორის არის მაღალი კორელაცია. ამით იზომება სკალის შინაგანი შესატყვისობა (შინაგანი კრიტერიუმი).

ზემოთ მიღებული № 5 დებულების პასუხები (განსხვავება საერთო ქულასა და № 5 დებულების ქულას შორის) გვიჩვენებს მონაცემთა განაწილებას (განთესვას) და არის შინაგანი შესატყვისობის მაჩვენებელი. ამის შემდეგ კორელაციის გამოსათვლელად შევადგენთ კორელაციურ ტაბულას, რომელშიც უბრალო გამოთვლით ვიპოვით კორელაციის კოეფიციენტს № 5 დებულების შეფასებასა და განსხვავებას საერთო ქულასა და № 5 დებულების ქულას შორის. ამგვარი პროცესი მეორდება ყოველი დებულებისათვის. დებულებები, რომლებიც მცირე კორელაციას აჩვენებენ საბოლოო სკალიდან ამოღებული უნდა იქნეს.

ჩვენი მაგალითისათვის მონაცემთა განთესვა და მისი კავშირები მოთავსებულია შემდეგ ცხრილში:

დებულების სკალური მაჩვენებელი	მონაცემების განაწილება			
	10-19	20-29	30-39	40-50
1	1	1	—	—
2	—	1	—	—
3	—	—	1	—
4	—	—	4	—
5	—	—	1	1

ამ მაგალითში კავშირი (კორელაცია) არის მაღალი და შეიძლება ითქვას, რომ საბოლოო სკალაში № 5 დებულება დატოვებული უნდა იქნეს. ამ ტექნიკით, ჩვენ ვიღებთ ურთიერთკორელაციას დებულებებს შორის.

ხშირ შემთხვევაში იყენებენ ტურსტონის მეთოდის (კვარტალურ გადახრებს). ბევრი კი მონაცემებს შორის დამოკიდებულების გამოსარკვევად ითვლის ალფა (α) კოეფიციენტს, რათა დაადგინონ შინაგანი კონსისტენტობა. ალფა (α) კოეფიციენტი უნდა აღემატებოდეს 0.80, ე. ი. ეს ნიშნავს იმას, რომ არის შინაგანი შესატყვისობის სანდობა ანუ სკალა სანდოა, რადგან მაღალი დისპენსია გააჩნია. იმ შემთხვევაში, როცა სკალა შედგება მხოლოდ გენერალური ფაქტორისაგან, მაგ., რაიმე ცალსახა ობიექტის მიმართ ატიტუდი (ე. ი. საქმე გვაქვს ერთგანზომილებიან სკალასთან), მაშინ საჭირო არ არის ფაქტორული ანალიზის გამოყენება, რადგან თვით ამ ატიტუდის ობიექტს არ გააჩნია ქვესკალური სტრუქტურა. ფაქტორული ანალიზის მეთოდი მთლიანად სკალის კონსტრუირებისას, უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ მაშინ, როცა თავიდანვე არსებობს აშკარად გამოხატული გენერალური ფაქტორი თავისი სხვადასხვა ქვესკალების სტრუქტურებით (მრავალგანზომილებიანი სკალა). ამის საუკეთესო მაგალითია, პარანორმალური რწმენების მიმართ დამოკიდებულების სკალა []:

პარანორმალური რწმენების სკალის მონაცემები მიღებული ფაქტორული ანალიზის შედეგად

ქვესკალები	დებულებების ნომრები	ფაქტორები						
		1	2	3	4	5	6	7
1. ტრადიციული რელიგიური რწმენები	1	.77	-.03	.02	-.20	.13	.13	.03
	8	.74	-.00	.06	.02	-.08	-.02	.11
	15	.72	-.01	-.07	-.01	-.21	.00	.16
	22	.78	-.02	-.01	.03	-.18	-.08	.17
2. ფსი /PSI/	2	.08	.79	.20	.00	.10	.15	.11
	9	-.02	.74	.21	.06	.14	.10	.09
	16	-.04	.69	.17	-.03	.32	.12	.05
	23	-.07	.51	-.01	.07	-.04	-.02	-.25
3. ჯადოქრობა	3	.18	.12	.75	-.01	.01	.08	-.00
	10	.02	.09	.75	-.00	-.04	.05	.03
	17	.03	.01	.68	.10	.11	.09	.12
	24	.06	.23	.55	.11	.24	-.00	.04
4. ცრუმორწმუნეობა	4	-.16	.10	.12	.69	.24	.00	-.03
	11	.07	-.02	.09	.76	-.06	.05	.09
	18	-.14	-.04	.06	.75	.22	-.03	-.03
5. სპირიტუალიზმი	5	-.07	.25	.18	.18	.50	.24	.09
	12	-.16	.19	.10	.35	.53	.09	.11
	19	-.05	.07	.15	.09	.72	.08	.21
	25	-.01	.26	.14	.07	.73	.08	.06
6. ცხოვრების ექსტრაორდინალური ფორმები	6	-.06	.08	.14	.02	-.00	.75	-.00
	13	.15	.07	.09	.04	.03	.76	.11
	20	-.02	.15	.03	-.00	.23	.73	.14
7. პრეკოგნიცია	7	.24	.40	.12	.06	.07	.16	.54
	14	.27	.01	.03	.00	.21	.16	.64
	21	-.01	-.17	-.07	.02	-.12	-.05	-.69

სკალის ჩამოყალიბებიდან დაწყებული, დღემდე, მის მიმართ ბევრი შენიშვნა გამოითქვა. დისკუსიები ძირითადად ეხებოდა ლაიკერტის სკალის შედარებას სხვა სკალებთან, ე. ი. რომელს მიენიჭოს უპირატერსობა, მაგ., ტურსტონის თუ ლაიკერტის სკალას და სხვ. XX საუკუნის 50-ან წლებში ა. ედვარდსმა [2], ამ ორ სკალას შორის შეძლო მოეძებნა ოპტიმალური დაახლოება.

სკალას გააჩნია როგორც უპირატესობა, ასევე ნაკლოვანებები. მისი უპირატესობა ისაა, რომ მისი შევსება და გამოყენება მარტივად ხორციელდება. ძირითადი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ის შეიძლება იყოს მრავალგანზომილებიანი. საერთოდ ეს სკალა ძალზედ სანდოა, რომლითაც სწორ ინფორმაციას ვიღებთ რესპონდენტზე. ღირსებას მიეკუთვნება აგრეთვე, სკალის დებულებების შეფასების კრიტერიუმები - "კეთანხმები-არ კეთანხმები", ამ რანგებით შეფასებითი პასუხები გაადვილებულია.

ნაკლოვანებების შესახებ საუბრისას, ძირითადი კრიტიკა მიმართულია სკალის ერთგანზომილებადობისაკენ, სადაც დებულებათა იდენტურობა შეიძლება არ იყოს მნიშვნელოვანი, მიუხედავად იმისა, როცა მათ შორის არსებობს მაღალი კორელაცია. კრიტიკის სფეროა, აგრეთვე, ამ სკალის მრავალგანზომილებადობა, სადაც საერთო სკალური ქულა შეიძლება არ შეესაბამებოდეს ქვესკალების მაჩვენებელს, რაც იმას

ნიშნავს, რომ ქვეკლასები სხვადასხვა მახასიათებელს ზომავენ, ე. ი. აქ ხდება ერთობლივად ბევრი ატიტუდის გაზომვა და არა ერთის. დავის საგანია აგრეთვე, ის თუ რომელი ტიპის შეფასების სკალაზე იზომება: რიგის თუ ინტერვალების. მეცნიერთა უმრავლესობა ეთანხმება იმ შეხედულებას, რომ ლაიკერტის ტიპის სკალა იზომება რიგის სკალაზე. ამ კრიტიკული ნაშრომების მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ლაიკერტის სკალა ყველაზე მეტად გამოიყენება სხვა სკალებთან შედარებით.